



**ჰიბრიდულობა არუნდატი როის რომანში „წვრილმანების ღმერთი“ და  
მისი თარგმნის პრობლემა**

**ლანა ჩახაია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე,

ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2021**

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ლანა ჩახაია*

*25 ივნისი 2021*

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თანამედროვე პოსტკოლონიური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ჰიბრიდული დისკურსი და მისი ქართულად თარგმნის პრობლემა. საკითხი გაანალიზებულია ინდოელი მწერლისა და აქტივისტის არუნდატი როის 1997 წელს გამოქვეყნებული რომანის „წვრილმანების ღმერთი“ ქართული თარგმანის (მთარგმნ. თამარ ჯაფარიძე) მიხედვით. რომანში ასახულია ბრიტანული კოლონიზაციის გავლენა ინდურ საზოგადოებაზე, კულტურასა და ლიტერატურაზე.

კვლევაში წარმოდგენილია ზოგიერთი პოსტკოლონიური კონცეფციისა და ჰიბრიდულობის, როგორც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის, მიმოხილვა. მასში გაანალიზებულია პოსტკოლონიალიზმთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა პოსტკოლონიური მმართველობის შედეგები, კულტურათა შერწყმა, იდეოლოგია, პოსტკოლონიური ლიტერატურის თარგმნის თავისებურებები და სხვ.

ნაშრომში გამოყოფილია საანალიზო ტექსტში ჰიბრიდული დისკურსის ძირითადი მახასიათებლები და ნაჩვენებია, როგორ იყენებს ავტორი დასავლურ ენას კოლონიალიზმის წინააღმდეგ. წყარო ტექსტის ანალიზის საფუძველზე, კვლევაში განხილულია სტრატეგიები, რომლებსაც მთარგმნელი იყენებს ჰიბრიდული დისკურსის შესანარჩუნებლად თარგმანში. სამიზნე ტექსტის ანალიზი ეყრდნობა ლორენს ვენუტის მოდელს, რომელიც თარგმანის ორ სტრატეგიას: „გაუცხოებას“ თუ „გაშინაურებას“ გამოყოფს. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ თარგმანში ჭარბობს „გაუცხოების“ სტრატეგიის გამოყენება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ჰიბრიდულობა, პოსტკოლონიალიზმი, თარგმანი, გაუცხოების სტრატეგია.

## Abstract

The thesis -Translating Hybridity in Arundhati Roy's *God of Small Things* focuses on the specific nature of hybrid discourses in modern postcolonial literature and the problem of their translation. More specifically, it seeks to identify the strategies used in the Georgian translation of "The God of the Things" (transl. Tamar Japaridze), a novel by the Indian writer and activist Arundhati Roy, which reflects the impact of British colonization on Indian society, culture, and literature.

With this purpose, the study provides an overview of postcolonial theory and hybridity as one of its crucial aspects. It discusses important issues, such as the consequences of the postcolonial rule, the blending of cultures, ideology, and peculiarities of the translation of postcolonial literature.

The paper highlights the main features of hybrid discourse and shows how the author uses the Western language against colonialism itself. Based on the source text analysis, the thesis discusses the strategies that the translator uses to maintain hybrid discourse in translation. The target text analysis relies on Lawrence Venuti's model, which distinguishes the "foreignization" and "domestication" method of translation. These analyses has shown that "foreignization" prevails in the translated text.

**Key Words: Hybridity, Post Colonialism, Foregnization**

## მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს ნინო მატარაძეს, საკვლევო თემატიკისა და მეთოდოლოგიის შერჩევისათვის; წერის პროცესში მიღებული პროფესიული დახმარებისა და რჩევებისთვის. მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებსა და პროფესორებს საინტერესო კურსისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სკოლის თანამშრომლებს და ხელმძღვანელობას, რომელთა მხარდაჭერამ მომცა საშუალება მივყოლოდი ჩემს მიზანსა და მისწრაფებას.